# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №48

2021 წლის 4 თებერვალი

ქ. თბილისი

## მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**
„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესი“.

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი — გიორგი გახარია

## მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესი

**ზოგადი დებულებები**
1. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავებისა და შევსების პროცედურებს.

2. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, მოსალოდნელი შედეგების, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციისათვის განხორციელებული საქმიანობის შეფასებისა და მათ მიერ საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმად წინასწარ შემუშავებულ დოკუმენტს.

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების მიზანი**

მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების მიზანია:

ა) მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრის მაჩვენებლების დადგენა;

ბ) მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და განვითარების შესაძლებლობის განსაზღვრა;

გ) მუნიციპალიტეტებში მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის შედეგების განსაზღვრა;

დ) მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა.

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შევსება**

1. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შევსებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შემდგომში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) კოორდინაციით. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტს ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი.

2. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი დგება ყოველწლიურად.

3. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტში მითითებული მონაცემების ცვლილება ან/და განახლება.

4. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შევსებისას, გარდა ამ წესით განსაზღვრული მონაცემებისა, დასაშვებია დამატებითი ინფორმაციის შეტანა, მუნიციპალიტეტის თავისებურებების გათვალისწინებით.

5. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავება ხდება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება მუნიციპალიტეტში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმა

1. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი ივსება წესის დანართის შესაბამისად.

2. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტს თან უნდა დაერთოს მუნიციპალიტეტის რუკა, რომელზეც დატანილი იქნება პოტენციური რისკის ზონები და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების სავარაუდო შედეგების შესახებ ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის რუკაზე აგრეთვე აღინიშნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მარშრუტები.

დანართი

# მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი

**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ:**

მუნიციპალიტეტის დასახელება

______________________

მუნიციპალიტეტის მერი

______________________
სახელი, გვარი

______________________
ხელმოწერა, ბეჭედი

პასპორტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირის:

| ______________ | ______________ | ______________ |
|---|---|---|
| თანამდებობა | ხელმოწერა | გვარი, სახელი |

„____“ ____________ 20___ წ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება (ცხრილი №1) .......... 3

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული პოტენციურად საშიში ობიექტების დახასიათება (ცხრილი №2) .......... 8

ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში) (ცხრილი №3) .......... 11

ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში) (ცხრილი №4) .......... 12

ადამიანური ფაქტორით გამოწვეული სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში) (ცხრილი №5) .......... 15

საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მოსახლეობის დაცვის საორგანიზაციო - ტექნიკური ღონისძიებების მახასიათებლები (ცხრილი №6) .......... 16

ტყის ხანძრების რისკის მაჩვენებლები (ივსება რისკის არსებობის შემთხვევაში) (ცხრილი №7) .......... 21

ცხრილი №1

# მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

| მაჩვენებლის დასახელება | მაჩვენებლის რაოდენობა |
|---|---|
| **ზოგადი დახასიათება** | |
| 1. ტერიტორიის ფართობი, კმ$^2$ | |
| 2. მოსახლეობის საერთო რაოდენობა | |
| 3. დასახლებული პუნქტების რაოდენობა | |
| 4. იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც განთავსებულია სასიცოცხლო მნიშვნელობის პირველი კატეგორიის ობიექტები | |
| 5. იმ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის რაოდენობა (მათ შორის მათი პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით), სადაც განთავსებულია სასიცოცხლო მნიშვნელობის პირველი კატეგორიის ობიექტები | „_________“ ადამიანი; „______“ % |
| 6. მოსახლეობის სიმჭიდროვე, ადამიანი/კმ$^2$ | |
| 7. სასიცოცხლო მნიშვნელობის პირველი კატეგორიის ობიექტების რაოდენობა, მათ შორის:<br>ა) „I“ ჯგუფის<br>ბ) „II“ ჯგუფის<br>გ) „III“ ჯგუფის | |
| 8. საცხოვრებელი ფონდის ცვეთის ხარისხი, % | |
| 9. მუნიციპალიტეტში სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა | |
| 10. მუნიციპალიტეტში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა | |
| 11. მუნიციპალიტეტში სამედიცინო პერსონალის რაოდენობა | |
| 12. მუნიციპალიტეტში ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების რაოდენობა (საგანმანათლებლო, სამედიცინო, კულტურულ - სპორტული, საკულტო და რიტუალური დაწესებულებები, სადგურები ა.შ.) | |

| | |
|---|---|
| 13. საგანგებო სიტუაციების რაოდენობა წელიწადში, მათ შორის:<br>ა) ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) ხასიათის<br>ბ) ბუნებრივი ხასიათის | |
| 14. საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ზარალის ოდენობა წელიწადში, მათ შორის:<br>ა) ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) ხასიათის<br>ბ) ბუნებრივი ხასიათის | |
| 15. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) ხასიათის საგანგებო სიტუაციების რისკის მაჩვენებელი, რისკის ხარისხის მაჩვენებელი ქულა | |
| სოციალურ - დემოგრაფიული მახასიათებლები | |
| 16. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მათ შორის:<br>ა) ქალაქის მოსახლეობის<br>ბ) სოფლის მოსახლეობის<br>გ) დაბის მოსახლეობის<br>დ) მამაკაცების<br>ე) ქალების | |
| 17. ყოველწლიური შობადობის მაჩვენებელი | |
| 18. მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება | |
| 19. მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი წლის განმავლობაში | |
| 20. გარდაცვლილ პირთა რაოდენობა, მათ შორის:<br>ა) სატრანსპორტო ავარიების შედეგად<br>ბ) საწარმოო ავარიების შედეგად<br>გ) ხანძრის შედეგად<br>დ) ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგად | |
| 21. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა | |
| 22. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, მათი თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასთან (პროცენტული მაჩვენებელი), მათ შორის:<br>ა) მუნიციპალიტეტის ორგანოებში<br>ბ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში | |

| | |
|---|---|
| გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში<br>დ) სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში<br>ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში<br>ვ) საწარმოებში | |
| 23. შრომისუუნარო მოსახლეობის რაოდენობა, მათ შორის:<br>ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ასაკის მითითებით)<br>ბ) 6 წლამდე ასაკის ბავშვები<br>გ) 70 წლის ასაკს გადაცილებული პირები | |
| ბუნებრივი პირობების მახასიათებლები | |
| 24. ქარის საშუალო წლიური:<br>ა) მიმართულება<br>ბ) სიჩქარე, კმ/სთ | |
| 25. ქარის მაქსიმალური სიჩქარე (კმ/სთ), სეზონების მიხედვით:<br>ა) გაზაფხული<br>ბ) ზაფხული<br>გ) შემოდგომა<br>დ) ზამთარი | |
| 26. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა (%) | |
| 27. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა (მმ),წლიური საშუალო სეზონების მიხედვით:<br>ა) გაზაფხული<br>ბ) ზაფხული<br>გ) შემოდგომა<br>დ) ზამთარი | |
| 28. ჰაერის ტემპერატურა (°C)<br>ა)საშუალო წლიური<br>ბ)მაქსიმალური სეზონების მიხედვით:<br>ბ.ა) გაზაფხული<br>ბ.ბ) ზაფხული<br>ბ.გ) შემოდგომა | |

| | |
|---|---|
| ბ.დ) ზამთარი | |
| სატრანსპორტო თავისებურებანი | |
| 29. რკინიგზის სიგრძე (კმ.) | |
| 30. საავტომობილო გზების სიგრძე (კმ.) | |
| 31. დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებთან მისასვლელი გზა გრუნტისაა (მათ შორის, გრუნტიანი გზების რაოდენობის თანაფარდობა გზების საერთო რაოდენობასთან) | |
| 32. სატელეფონო კავშირის არმქონე დასახლებული პუნქტების რაოდენობა (მათი თანაფარდობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან) | |
| 33. ტერიტორიები, სადაც განთავსებულია გამორეცხვის, დატბორვის, ზვავის, მეწყერის და სხვა რისკის ქვეშ მყოფი რკინიგზის უბნები | |
| 34. ტერიტორიები, სადაც განთავსებულია გამორეცხვის, დატბორვის, ზვავის, მეწყრის და სხვა რისკის ქვეშ მყოფი საავტომობილო გზების უბნები | |
| 35. საავტომობილო ხიდების რაოდენობა | |
| 36. სარკინიგზო ხიდების რაოდენობა | |
| 37. საზღვაო პორტების რაოდენობა და ჩამონათვალი | |
| 38. არხებისა და მათზე არსებული ჩამკეტების რაოდენობა | |
| 39. აეროპორტებისა და საფრენი საშუალებების დასაჯდომი მოედნების რაოდენობა და ადგილმდებარეობა | |
| 40. მაგისტრალური მილსადენების სიგრძე (კმ.) მათ შორის:<br>ა) ნავთობსადენი<br>ბ) გაზსადენი<br>გ) და სხვა | |
| 41. ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე (კმ.) | |

| | |
|---|---|
| 42. მუნიციპალიტეტის მთლიანი შიდა პროდუქტის (მ.შ.პ.) ფარდობითი მაჩვენებელი ქვეყნის მ.შ.პ-სთან (%) | |

ცხრილი №2

## მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული პოტენციურად საშიში ობიექტების დახასიათება

| მაჩვენებლის დასახელება | მაჩვენებლის რაოდენობა |
|---|---|
| **1. ბირთვული და რადიაციული საფრთხის შემცველი ობიექტები** | |
| 1.1. ბირთვული და რადიაციული საფრთხის შემცველი ობიექტების რაოდენობა, მათ შორის: | |
| ა)სამეცნიერო - კვლევითი რეაქტორები (სტენდები) | |
| ბ) ბირთვული და რადიაციული ნივთიერებების საცავები | |
| 1.2. საცავში დაცული რადიოაქტიური ნივთიერების ჯამური აქტივობა (კიური) | |
| 1.3. დაცული სანიტარული ზონის საერთო ფართობი (კმ²) | |
| 1.4. დაცულ სანიტარულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა (ათასი მოსახლე), მათ შორის: | |
| ა) სახიფათო რადიოაქტიური დაბინძურების ზონაში | |
| ბ) ძლიერი რადიოაქტიური დაბინძურების ზონაში | |
| 1.5. ავარიების რაოდენობა ბირთვული და რადიაციული საფრთხის ობიექტებზე (წლიურად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში) | |
| **2.ქიმიურად საშიში ობიექტები** | |
| 2.1. ქიმიურად საშიში ობიექტების რაოდენობა | |
| 2.2. გამოყენებული, წარმოებული და შენახული ქიმიურად საშიში ნივთიერებების საშუალო მოცულობა (ტ.), მათ შორის: | |
| ა) ქლორი | |
| ბ) ამიაკი | |
| გ) გოგირდის დიოქსიდი | |
| დ) და სხვ. | |
| 2.3. ქიმიურად საშიში ტრანსპორტირებული ნივთიერებების საშუალო მოცულობა | |
| 2.4. ქიმიური დაბინძურების შესაძლო ზონების საერთო ფართობი (კმ²) | |
| 2.5. ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარიებისა და ხანძრების რაოდენობა | |

| | |
|---|---|
| (წლიურად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში)<br>3. აფეთქება - ხანძარსაშიში და ხანძარსაშიში შენობა - ნაგებობების და სათავსოების რაოდენობა<br>3.1 აფეთქება - ხანძარსაშიშ და ხანძარსაშიშ შენობა - ნაგებობებში და სათავსოებში გამოყენებული, წარმოებული ან/და შენახული საშიში ნივთიერებების მოცულობა (ტ.), მათ შორის:<br>ა) ფეთქებადი ნივთიერება<br>ბ) ადვილად აალებადი ნივთიერება<br>3.2. აფეთქება - ხანძარსაშიშ და ხანძარსაშიშ შენობა - ნაგებობებში და სათავსოებში<br>ავარიებისა და ხანძრების რაოდენობა (წლიურად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში)<br>4. ბიოლოგიურად საშიში ობიექტები<br>4.1. ბიოლოგიურად საშიში ობიექტების რაოდენობა<br>4.2. ბიოლოგიურად საშიშ ობიექტებზე ავარიებისა და ხანძრების რაოდენობა (წლიურად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში)<br>5. ჰიდროტექნიკური ნაგებობები<br>5.1. ჰიდროტექნიკური ნაგებობების რაოდენობა (უწყებრივი დაქვემდებარების მიხედვით)<br>5.2. მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების რაოდენობა<br>5.3. ჰიდროტექნიკურ ობიექტებზე ავარიების რაოდენობა (წლიურად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში)<br>6. შესაძლო ავარიული გაჟონვები (ტ./წელიწადში), მათ შორის:<br>ა) ქიმიურად საშიში ნივთიერებები<br>ბ) ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებები<br>გ) ფეთქებადსაშიში ნივთიერებები<br>7. ნარჩენების განთავსების ადგილების რაოდენობა, მათ შორის:<br>ა) საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სამარხები<br>ბ) რადიოაქტიური ნარჩენების საცავები<br>გ) სამარხები | |

| | |
|---|---|
| დ) ნაგავსაყრელები (ორგანიზებული და არაორგანიზებული), კუდსაცავი<br>ე) კარიერები<br>ვ) და სხვ.<br>**8. ნარჩენების რაოდენობა (ტ.)**<br>შენიშვნა: სხვა დასახელებები განისაზღვრება ადგილობრივი პირობებით. | |

ცხრილი №3

## ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში)

| სახიფათო ბუნებრივი მოვლენების სახეები | ბუნებრივი მოვლენის ინტენსივობა | ბუნებრივი მოვლენის სიხშირე (წელიწადში ) | საგანგებო სიტუაციის დადგომის სიხშირე ბუნებრივი მოვლენის წარმოქმნისას (წელიწადში) | სავარაუდო საგანგებო სიტუაციის ზონების ფართობი, (კმ$^2$) | საგანგებო სიტუაციის ზონაში მოყოლილი დასახლებული პუნქტების სავარაუდო რაოდენობა | მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა, რომელსაც გაუუარესდა საცხოვრებელი პირობები (ათასი ერთეული) | სოციალურ - ეკონომიკური შედეგები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | დაღუპულთა რაოდენობა | დაშავებულთა რაოდენობა | ზარალი (ლარში) |
| | | | | | | | | | |

ცხრილი №4

## ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში)

| ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) საგანგებო სიტუაციების სახეები | ობიექტის მისამართი და დასახელება | საგანგებო სიტუაციისას დაღვრილი (გაჟონილი) საშიში ნივთიერების სახეობა და შესაძლო რაოდენობა (ტ) | საგანგებო სიტუაციის განვითარების შესაძლო სიხშირე (წელიწადში) | დასაშვები რისკის მაჩვენებელი (წელიწადში) | შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონების ფართობი ($კმ^2$) | მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა, რომელთაც გაუუარესდათ საცხოვრებელი პირობები (ათასი ერთეული) | სოციალურ - ეკონომიკური შედეგები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | დაღუპულთა სავარაუდო რაოდენობა | დაშავებულთა სავარაუდო რაოდენობა | სავარაუდო ზარალი (ლარში) |
| 1. საგანგებო სიტუაციები ქიმიურად საშიშ ობიექტებზე<br><br>2. საგანგებო სიტუაციები რადიაციულად საშიშ ობიექტებზე<br><br>3. საგანგებო | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიტუაციები ბიოლოგიურად საშიშ ობიექტებზე<br><br>4. საგანგებო სიტუაციები აფეთქება - ხანძარსაშიშ და ხანძარსაშიშ შენობა - ნაგებობებში და სათავსოებში<br><br>5. საგანგებო სიტუაციები ელექტროენერგეტიკულ და კავშირგაბმულობის სისტემებზე<br><br>6. საგანგებო სიტუაციები ენერგომომარაგების, წყალმომარაგების, გაზმომარაგების, ტელეკომუნიკაციების და კანალიზაციის სისტემებზე | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. საგანგებო სიტუაციები ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე<br><br>8. საგანგებო სიტუაციები ტრანსპორტში | | | | | | | | | |

ცხრილი №5

## ადამიანური ფაქტორით გამოწვეული სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რისკის განსაზღვრისათვის აუცილებელი მაჩვენებლები (საგანგებო სიტუაციების განვითარების ყველაზე დიდი საფრთხის შემთხვევაში / ყველაზე დიდი ალბათობის შემთხვევაში)

| სოციალური ხასიათის საგანგებო სიტუაციების სახეები | განსაკუთრებით საშიში დაავადებების და ტოქსინების სახეები | საგანგებო სიტუაციის განვითარების შესაძლო უბნები (დასახლებული პუნქტი, ობიექტი) | საგანგებო სიტუაციების რაოდენობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში | ბოლოს მომხდარი საგანგებო სიტუაციის თარიღი | განსაკუთრებით საშიში ინფექციები | | | | | | | | ზარალი (ლარში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ეპიდემია, მოწამვლა | | | ეპიზოოტია | | | ეპიფიტოტია | | |
| | | | | | დაავადებულთა რაოდენობა | გარდაცვლილთა რაოდენობა | იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები განუვითარდათ | დაავადებული სასოფლო - სამეურნეო ცხოველების რაოდენობა (სახეების მიხედვით) | დაღუპული ცხოველების რაოდენობა | იძულებით განადგურებული ცხოველების რაოდენობა | დასნებოვნებული სასოფლო - სამეურნეო კულტურების ფართობი (სახეების მიხედვით), (ჰა) | დამუშავებული სასოფლო - სამეურნეო კულტურების ფართობი (სახეების მიხედვით), (ჰა) | |
| | | | | | | | | | | | | | |

ცხრილი №6

## საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მოსახლეობის დაცვის საორგანიზაციო - ტექნიკური ღონისძიებების მახასიათებლები

| მაჩვენებელის დასახელება | მაჩვენებლის რაოდენობა |
|---|---|
| 1. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების რაოდენობა (საგანმანათლებლო, სამედიცინო, კულტურულ - სპორტული, საკულტო და რიტუალური დაწესებულებები, სადგურები და ა.შ.), რომლებიც აღჭურვილია შეტყობინების ტექნიკური საშუალებებით (შეტყობინების სისტემა) / საჭირო რაოდენობის % | |
| 2. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია უცხო პირთა მიერ არასანქცირებული შეღწევის გამომრიცხავი ტექნიკური საშუალებებით / საჭირო რაოდენობის % | |
| 3. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია ფეთქებადი და ქიმიურად საშიში ნივთიერებების შეტანის გამომრიცხავი ტექნიკური საშუალებებით / საჭირო რაოდენობის % | |
| 4. საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების რაოდენობა /საჭირო რაოდენობის % | |
| 5. შეტყობინების ლოკალური სისტემების რაოდენობა / საჭირო რაოდენობის % | |
| 6. მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დაფარულია შეტყობინების სისტემებით / მოსახლეობის საერთო რაოდენობის % | |
| 7. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების (მათ შორის, თავშესაფრების) ტევადობა (ნაგებობის სახისა და დანიშნულების მიხედვით), მათ შორის მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ზონებში / საჭიროების % | |
| 8. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგი (დაცვის საშუალებების სახეების მიხედვით), მათ შორის მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების | |

| | |
|---|---|
| ზონებში / საჭიროების % | |
| 9. საევაკუაციო მარშრუტებისათვის მომზადებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა (სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი) / საჭირო რაოდენობის % | |
| 10. სამედიცინო დაწესებულებებში პროფილის შესაცვლელად მომზადებული საწოლების რაოდენობა / საჭიროების % | |
| 11. ეპიდემიის კერებში სამუშაოდ მომზადებული ექიმებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა % | |
| 12. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და შედეგების ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული ფინანსური რეზერვები (ათასი ერთეული ლარი) / საჭიროების % | |
| 13. სასმელი წყლის მარაგი (მ³) / საჭიროების % | |
| 14. იმ სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობების მაქსიმალური მაჩვენებელი, რომლებიც იმყოფებიან სრულ მზადყოფნაში სასმელი წყლის გადასაზიდად (მ³) / საჭიროების % | |
| 15. სურსათის მარაგი (ტ.) / საჭიროების % | |
| 16. პირველადი მოხმარების საგნების მარაგი (ცალი (კომპლექტი)) / საჭიროების % | |
| 17. კარვების მარაგი, მათ შორის მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ზონებში / საჭიროების % | |
| 18. საწვავის მარაგი (ტ.) / საჭიროების % | |
| 19. საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება - ლიკვიდაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და მატერიალურ - ტექნიკური რესურსების მარაგი (ცალი (კომპლექტი)) / საჭიროების % | |
| 20. საზოგადოებრივი შენობების რაოდენობა, რომლებშიც დამონტაჟებულია ხანძრის ქრობის ავტომატური სისტემები / შენობების საერთო რაოდენობის % | |
| 21. საზოგადოებრივი შენობების რაოდენობა, რომლებშიც დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაციის ავტომატური სისტემები / შენობების საერთო რაოდენობის % | |
| 22. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც | |

| | |
|---|---|
| აღჭურვილია უცხო პირთა მიერ არასანქცირებული შეღწევის გამომრიცხავი ტექნიკური საშუალებებით / საჭიროებების % | |
| 23. ა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ობიექტების რაოდენობა, სადაც შექმნილია სახანძრო - სამაშველო დანაყოფი / საჭიროებების %;<br>ბ) იმ აფეთქება - ხანძარსაშიში და ხანძარსაშიში შენობა - ნაგებობების და სათავსოების რაოდენობა, სადაც შექმნილია სახანძრო - სამაშველო დანაყოფი/ საჭიროებების %; | |
| 24. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია ფეთქებადი და ქიმიურად საშიში ნივთიერებების შეტანის გამომრიცხავი ტექნიკური საშუალებებით / საჭიროებების % | |
| 25. ქიმიურად საშიში ობიექტების, აფეთქება - ხანძარსაშიში და ხანძარსაშიში შენობა - ნაგებობების და სათავსოების რაოდენობა, რომლებზეც მოხდა სახიფათო ტექნოლოგიებისა და მავნე ნივთიერებების ჩანაცვლება ნაკლებად საშიშით / საერთო რაოდენობის % | |
| 26. უწყვეტი ციკლის მქონე წარმოებების რაოდენობა, რომლებზეც დანერგილია უავარიო გაჩერების სისტემები / საერთო რაოდენობის % | |
| 27. ლიკვიდირებული, მავნე ნივთიერებების შემცველი ნაგავსაყრელებისა და სამარხების რაოდენობა / საერთო რაოდენობის % | |
| 28. მავნე ნივთიერებების ნაგავსაყრელებისა და სამარხების რაოდენობა, რომლებზეც შესრულდა ამ ნივთიერებების დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედების ზონების სალიკვიდაციო ღონისძიებები / საერთო რაოდენობის % | |
| 29. საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილია ავტონომიური ელექტრო, თბო, გაზ და წყალმომარაგებით / იმ საწარმოთა საერთო რაოდენობა, რომლებიც ექვემდებარებიან ავტონომიური წყაროებით აღჭურვას | |
| 30. ობიექტებზე სამეურნეო და სასმელი წყლის სისტემების სათადარიგო საშუალებებისა და მოწყობილობების რაოდენობა / საჭირო რაოდენობის %:<br>ა) წყლის გასაწმენდი საშუალებები<br>ბ) წყლის გასაწმენდი მოწყობილობები | |
| 31. მონიტორინგული სისტემებისა და ლაბორატორიების რაოდენობა / საჭირო რაოდენობის %: | |

| | |
|---|---|
| ა) ჰიდრომეტეოსადგურები<br>ბ) სანიტარულ - ეპიდემიოლოგიური სადგურები<br>გ) ვეტერინარული ლაბორატორიები<br>დ) აგროქიმიური ლაბორატორიები | |
| 32. სამრეწველო ობიექტების რაოდენობა, რომლებსაც შექმნილი აქვთ დოკუმენტაციის სადაზღვევო ბაზა / იმ ობიექტების საერთო რაოდენობა, რომლებშიც იგეგმება სადაზღვევო ბაზის შექმნა | |
| 33. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საუწყებო და კერძო სახანძრო - სამაშველო დანაყოფების რაოდენობა / საჭირო რაოდენობის % | |
| 34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საუწყებო და კერძო სახანძრო - სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის რიცხოვნება, ადამიანი / საჭიროებების % | |
| 35. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საუწყებო და კერძო სახანძრო - სამაშველო დანაყოფების ტექნიკა - აღჭურვილობა (ერთეული) / საჭიროებების % | |
| 36. მოხალისე სახანძრო - სამაშველო რაზმების რიცხოვნება (ადამიანთა საერთო რაოდენობა) / საჭიროებების % | |
| 37. მოხალისე სახანძრო - სამაშველო რაზმების აღჭურვილობა / საჭიროებების % | |
| 38. სახანძრო - სამაშველო დანაყოფების რაოდენობა, რომლებიც სრულად არ არიან დაკომპლექტებული ტექნიკა - აღჭურვილობით / საერთო რაოდენობის % | |
| 39. სახანძრო - სამაშველო დანაყოფების რაოდენობა, რომელთა პირადი შემადგენლობა სრულად არ არის დაკომპლექტებული/ საერთო რაოდენობის % | |
| 40. სახანძრო - სამაშველო დანაყოფების სერტიფიცირებული პირადი შემადგენლობის რიცხოვნება / საერთო რაოდენობის % | |
| 41. საწარმოთა, მათ შორის, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ზონებში განთავსებული ობიექტების, იმ ხელმძღვანელ პირთა რაოდენობა, რომლებსაც გავლილი აქვთ სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში / საერთო | |

| | |
|---|---|
| რაოდენობის % | |
| 42. საწარმოებისა და ორგანიზაციების, მათ შორის, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ზონებში განთავსებული ობიექტების, იმ პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც გავლილი აქვთ სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში / საერთო რაოდენობის % | |
| 43. მოსახლეობის, მათ შორის, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის, რაოდენობა, რომელებსაც გავლილი აქვთ სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში / საერთო რაოდენობის % | |
| 44. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ზონებში განთავსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მოსწავლეთა რაოდენობა, რომელებსაც გავლილი აქვთ სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში / მოსწავლეთა საერთო რაოდენობის % | |
| 45. ტყის უბნებთან მოსაზღვრე ადმინისტრაციულ - ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში მდებარე დასახლებების სამედიცინო დაწესებულებების, პანსიონატების, საბავშვო - გამაჯანსაღებელი ბანაკების და სხვა ობიექტების შესახებ მონაცემები (მათი დასახელება, მისამართი, მაქსიმალურად რა რაოდენობის ადამიანი შეიძლება იქ იმყოფებოდეს, აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების სახეობა და რაოდენობა, ძვირად ღირებული მოწყობილობები და მასალები, მატერიალური და კულტურული ფასეულობები (ასეთების არსებობის შემთხვევაში)), სადაც ადამიანები იმყოფებიან დღე - ღამის განმავლობაში | |

ცხრილი №7

## ტყის ხანძრების რისკის მაჩვენებლები (ივსება რისკის არსებობის შემთხვევაში)

ა)

| მაჩვენებლების დასახელება | ინფორმაცია მაჩვენებლის სიდიდის ან/და მოთხოვნის შესრულების შესახებ |
|---|---|
| 1. დასახლებასა და ტყის უბანს (უბნებს) შორის არსებული საზღვრის საერთო სიგრძე (კმ.) | |
| 2. დასახლების ტერიტორიაზე გაშენებული წიწვოვანი (შერეული) ტყეების საერთო ფართობი (ჰა) | |
| 3. ტყის უბანთან მოსაზღვრე დასახლების ყველაზე დაცილებულ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტამდე, უახლოესი სახანძრო - სამაშველო დანაყოფის განთავსების ადგილიდან, დანაყოფის მისვლის საანგარიშო დრო (წთ.) | |
| 4. დასახლებასა და ტყის უბანს (უბნებს) შორის საზღვრის მთელ სიგრძეზე დადგენილი სიგანის ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდე (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი, ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლი) | |
| 5. დასახლების ტერიტორიებს შორის და შენობა - ნაგებობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლის წვადი ნარჩენების, ნაგვის, ტარის, ხმელი ფოთლების, ბალახის და სხვა მასალებისაგან დროული გაწმენდის სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება | |
| 6. საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის მაუწყებლობის ხმოვანი სისტემა, აგრეთვე სატელეფონო (რადიო) კავშირი ხანძრის შესახებ შეტყობინებისათვის | |
| 7. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების საშუალებები (სახანძრო ჰიდრანტები, ხელოვნური სახანძრო წყალსატევები, მდინარეები, ტბები, აუზები, ტბორი და სხვა). | |
| 8. მისასვლელი საავტომობილო გზები | |
| 9. ტყის ხანძრების ჩასაქრობად მოზიდული ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები | |

ზ)

| № | ტყის უბნებთან მოსაზღვრე ადმინისტრაციულ - ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში მდებარე დასახლების სამედიცინო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, საბავშვო - გამაჯანსაღებელი ბანაკების და სხვა ობიექტების დასახელება, სადაც ადამიანები იმყოფებიან დღე - ღამის განმავლობაში | ობიექტის მისამართი | პერსონალის რიცხოვნება | პაციენტების/ დამსვენებლების რიცხოვნება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |